პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 აგვისტო პარასკევი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 189 (14793)

სკოლა — საყოველთაო ზრუნვა!

შეკეთ რომ აღვზარდოთ ნორჩი თაობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, მივცეთ მას ეპოქისათვის შესაფერისი ცოდნა, ჩავუნერგოთ ქცევის, შრომის ჩვევები, ყველა საუკეთესო ადამიანური თვისებები და ცხოვრებისათვის მოვამზადოთ ისინი, — უპირველესი როლი სკოლას აკისრია. აღზრდის ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში სკოლა და მისი კოლექტივი ბევრად დამოკიდებული არიან მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, იმაზე, თუ შრომის როგორი პირობები ექნებათ. სწორედ ამიტომ არის ახლა უმთავრესი ყურადღება გადატანილი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაზე.

დღეს არ მოიპოვება რესპუბლიკაში ისეთი ქალაქი, დაბა, სოფელი, რომ გაჩაღებული არ იყოს სასკოლო შენებლობა, რემონტი, სასკოლო ეზოების და ნაკვეთების კეთილმოწყობა, სასკოლო სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების გამართვა, ინვენტარის მიზიდვა, სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების მიყიდვა მოსწავლეებისათვის. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინოა, საქვეყნოდ დასანახავია სასკოლო ხარაჩოები, გამალებული მშენებლობა. ეს ბუნებრივიც არის. სექტემბერი კარზეა მომდგარი. მტკიცე გრაფიკით 62 ახალი სკოლაა საექსპლოატაციოდ გადასაცემი 22 ათასი მოსწავლე ელის ამ ახალ სკოლებს.

რესპუბლიკის მშენებლებმა მრავალი ახალი სასკოლო შენობით გაახარეს მოსწავლეთა და მასწავლებელთა, მშობელთა გული. მათ კიდევ დიდი და დაუცხრომელი მუშაობა ელით. შენდება და აშენებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა 30 დაწესებულება, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები, მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები. ფართოდ არის გაჩაღებული არსებული სასკოლო შენობების გაფართოება, გაცხოველებით მიმდინარეობს მიშენების სამუშაოები; საქართველოში თანმიმდევრულად და განუხრელად ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“. ეს ნათლად ჩანს იმ წარმატებებში, რაც მოპოვებულია მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების, საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლისა და სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩვენს სკოლებში უახლოეს ხანში შეიქმნას ერთ ცვლად მეცადინეობის პირობები.

სასკოლო მშენებლობაში დიდია საზოგადოებრიობის როლი. რესპუბლიკაში დიდია საინიციატივო მშენებლობის ხვედრითი წონა. უკანასკნელ 15 წელიწადში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოთა სახსრებით აშენებულ სკოლებში ათეულ ათასობით ბავშვი სწავლობს. სოლო თუ ამას მივუმატებთ უახლოეს სამ წელიწადში ამ სახით ასაშენებელ სასკოლო შენობებს, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ მალე თითქმის ასი ათასს მიაღწევს მოსწავლეთა ადგილები, რომლებიც შეგვძინეს საინიციატივო მშენებლობათა კოლექტივებმა. პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღებითა და მხარდაჭერით აღფრთოვანებული მშენებლები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ ღირსეული მაჩვენებლებით შეხვდნენ მომავალ ღირსსახსოვარ მოვლენებს — სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის სახელოვან ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ცხადია, ამ საერთო წარმატებების ფონზე უფრო მკვეთრად მოჩანს ზოგიერთი ხარვეზი სასკოლო მშენებლობის ფრონტზე. რედაქციას მოსდის საგუშაგოთა და კორესპონდენტთა სიგნალები იმის შესახებ, რომ ზოგან მშენებლობაზე ჯერ კიდევ გამოყენებული არ არის მთელი ძალები. მშენებლობები ვერ მარაგდებიან საჭირო მასალებით, არასაკმაოდ არის ორგანიზებული მუშახელის და სამშენებლო ტექნიკის გამოყენება. წელს 1 სექტემბრამდე საექსპლოატაციოდ გადასაცემი შენობების დროულად დამთავრებისათვის მთელი ძალების დარაზმვის საბაბით, მინელებული ან ზოგან სავსებით შეწყვეტილია მუშაობა გარდამავალ მშენებლობებზე. მაგალითად, ემდურებიან „საქკავებმშენტრესტის“ წინანდლის № 3 სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (უფროსი ამხ. უ. ჯავახიშვილი) ლაფანყურის საშუალო სკოლისა და ყარაჯალის ბაგა-ბაღის მშენებლობათა გაჭიანურების გამო. თელავსა და იყალთოში დამთავრებულ ბაგა-ბაღებში მემონტაჟეები აჭიანურებენ სანტექნიკური კვანძების სამუშაოებს. ხუთი წელია ჭიანურდება სამხრეთ ოსეთში სოფელ ჭუსისის სასკოლო შენობის გაფართოების სამუშაოები, რომელიც სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს აქვს დაკისრებული. სოფელი ეჭვს გამოთქვამს, რომ აღებული ტემპით მოხერხდეს სკოლის ძირითადი კორპუსისათვის დაგეგმილი 16 საკლასო ოთახის მიშენება, რომ იქ პირველ სექტემბერს შეიძლებოდეს სწავლის დაწყება. მეტად ჩამორჩენილ სამონტაჟო სამუშაოები მრავალ სამშენებლო ობიექტზე.

მთელი რიგი ობიექტები მოითხოვს მშენებლობის გაძლიერებულ ტემპებს, ცხადია, ისე, რომ ამან ხარისხზე ცუდად არ იმოქმედოს. საჭიროა ჩამორჩენილ უბნებზე მოეწყოს მშენებელთა ორ ცვლად მუშაობა. ეს კი მოითხოვს მშენებლობათა საშენი მასალებით, მუშახელით, მექანიზმებითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

როდესაც ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაზე ვლაპარაკობთ, უმთავრესთან — მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასთან ერთად სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სამუშაოებიც უნდა ვიგულისხმოთ. ეს არის სკოლების ყოველმხრივ მომზადება. ეს შეეხება პედაგოგიური კადრებით, სახელმძღვანელოებით, პროგრამებით, თვალსაჩინოებით, ყველა იმ დიდმნიშვნელოვანი ატრიბუტით სკოლების უზრუნველყოფას, ურომლისოდაც ძნელია წარმოვიდგინოთ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის იმ დონეზე აყვანა, რომელზეც პარტია და მთავრობა მიგვითითებენ, რომელსაც ცხოვრება გვიჩვენებს.

განუხრელად უნდა განხორციელდეს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონი, როგორც ერთ-ერთი უპირველესი საფუძველი საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლისა. არც ერთი ბავშვი სკოლის გარეთ! — ასეთი უნდა იყოს ჩვენი დევიზი.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლებს, რის შედეგადაც ამაღლდა მოსწავლე ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონე, შემცირდა მოსწავლეთა დენადობა და სკოლიდან გასვლა. განმტკიცდა საღამოს სკოლების კავშირი საწარმო-დაწესებულებებთან, გაუმჯობესდა მათი მატერიალური ბაზა. სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილი არიან სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. მიუხედავად აღნიშნულისა, საღამოს სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არსებით ნაკლოვანებებს. 1969-1970 სასწავლო წელს მათ ვერ შეასრულეს კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა, მაშინ როცა საწარმო-დაწესებულებებში დასაქმებულ ახალგაზრდათა საგრძნობ ნაწილს არა აქვს რვა კლასისა და საშუალო განათლება. ბევრგან აკადემიური წარმატება არ აღემატება 40-50 პროცენტს, დიდია მეორეწლიან მოსწავლეთა რაოდენობა. ყოველივე ეს გათვალისწინებულ უნდა იქნას.

მასწავლებელთა ტრადიციულ აგვისტოს თათბირებზე იქნება მსჯელობა სწავლა-აღზრდის, სწავლების მრავალ საჭირბოროტო საკითხზე. ერთ-ერთი პირველი იქნება პრობლემა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისა. ამას მოითხოვს სკოლების ახალ პროგრამებსა და სასწავლმძღვანელოებზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

ახალი სასწავლო წელი ახლოვდება. მას მრავალი რთული საზრუნავი მოაქვს ჩვენთვის ნორჩი თაობის, მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის სფეროში. ამიტომ ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდეთ ამ ახალ სასწავლო წელს.

ხიდი თბილგვირაბმშენს

ლენინის ორდენოსანმა თბილგვირაბმშენის კოლექტივმა ხუთწლედის განვლილ პერიოდში არაერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვა, რისთვისაც მრავალჯერ დაიმსახურა ჯაჭვაშორა და რესპუბლიკური გარდამავალი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მიმდინარე წელსაც, როცა რესპუბლიკა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, თბილგვირაბმშენის სახელოვანმა კოლექტივმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა. მშენებლებმა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მეორე კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, გამარჯვება სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

გუშინ თბილისის მეტროპოლიტენის კლუბში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. როდიონოვი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ქედიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. შევარდნაძე, პარტიის პირველი მაისის რაიონის პირველი მდივანი ბ. ბრიგალაშვილი, თბილგვირაბმშენისა და თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკები.

კრება გახსნა თბილგვირაბმშენის გაერთიანებული სამშენებლო კომბინატის კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვ. ბრანდტის პატივსაცემად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურთან ერთად სადილზე იყვნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. შეელი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

სადილის დროს ა. ნ. კოსიგინმა და ვ. ბრანდტმა სიტყვები წარმოთქვეს.

დღევანდელი დღე, თქვა ა. ნ. კოსიგინმა სამახსოვრო დღე იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობაში. წარსულში ბევრი არ ყოფილა მიტეტის თავმჯდომარემ რ. კვერელიძემ.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. როდიონოვი. მან თბილგვირაბმშენის კოლექტივს გულთბილად მიულოცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა თბილგვირაბმშენის უფროსს ვ. გოცირიძეს.

კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს თბილგვირაბმშენის უფროსმა ვ. გოცირიძემ, № 5 საგვირაბო რაზის უფროსმა ა. უურაშვილმა, გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა პ. ლილაშვილმა, № 212 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარმა ინჟინერმა ბ. ციმინტიამ, № 215 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზედაკლ-მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირმა ა. დუმაშვილმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა თ. ბასქინთველმა. მათ მშენებელთა კოლექტივის სახელით პირობა დადეს, რომ კიდევ უფრო გააძლიერებენ შრომის ტემპს და მოიპოვებენ ახალ-ახალ შრომით წარმატებებს.

კრებამ სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად მიიღო ახალი გადიდებული ვალდებულებანი. ამ ვალდებულებებში გათვალისწინებულია, რომ თბილგვირაბმშენის კოლექტივი ვადამდე — 1970 წლის 1 დეკემბრისათვის შეასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიურ გეგმას, 25 დეკემბრისათვის ხამონტაჟოდ გადასცემს თბილისის მეტროპოლიტენის მეხუთე უბანს სადგურ „300 არაგველიდან“ სადგურ „ნავთლუღამდე“, ვადამდე გადასცემს საექსპლოატაციოდ სოფლის მეურნეობის მთელ რიგ მნიშვნელოვან ობიექტებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საკვების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საკოოპერატიულ-ბინათმშენებლო ორგანიზაციის, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით ზრდადნენ მეცხოველეობისათვის სრულფასოვანი და იაფი საკვების წარმოებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საფურაჟე კულტურების მარცვლის წარმოებას მათი მოსავლიანობის გადიდებით, სიმინდის, სამარცვლე პარკოსნების, ხოიისა და სხვა საფურაჟე კულტურების ნათესების გაფართოების გზით. იმ რაიონებში, სადაც ამ კულტურების უხვი და მყარი მოსავალი მოჰყავთ.

ამ მიზნით საჭიროა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეიმუშაონ საკვების ბაზის განვითარების 1971-1975 წლების ორგანიზაციულ-ტექნიკური გეგმები, ამასთან გაითვალისწინონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის, აგრეთვე პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემდგომი გადიდება, საფურაჟე მარცვლეული და საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდება, ბუნებრივი საკვების სავარგულთა მელიორაცია, სარწყავი და ამოშრობილი მიწების ყველაზე უფექტიანი გამოყენება საკვები კულტურების მოყვანისათვის, კულტურული საძოვრების შექმნა, მინერალური და სხვა ადგილობრივი ორგანული სასუქების გამოყენების გადიდება, საკვების სავარგულებში ეროზიასთან ბრძოლის და სხვა ღონისძიებათა სისტემის განხორციელება, ამასთან მხედველობაში იქონიონ საკვებზე მეცხოველეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება, აგრეთვე თვითეულ მეურნეობაში (ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით) შექმნან უხვი, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების საჭირო სადაზღვევო ფონდები.

საკვების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შეუშავების დროს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა გათვალისწინონ არა მარტო საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებანი საკვებზე, არამედ საკვებითა და საძოვრებით იმ პირუტყვის უზრუნველყოფა, რომელიც კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა პირადი საკუთრებაა, ქალაქებსა და მუშათა დაბებში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებსაც პირუტყვი ჰყავთ, უზრუნველყონ საძოვრებით, აგრეთვე სახელმწიფო მარაგის მიწებზე, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებსა და უბნებზე, რომლებსაც არ იყენებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მისცენ ფართობები თივის დასამზადებლად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საკასოფლტექნიკასა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დაეგალათ 1971-1975 წლებში შექმნან მაღალპროდუქტიული მდელოები და საძოვრები მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესლის ის რაოდენობით მოყვანა, რაც საჭიროა საერთო საკავშირო ფონდში ბალახების თესლის მიწოდებისათვის, მინდვრის ბალახების თესლისა და მაღალპროდუქტიული მდელოებისა და საძოვრების შექმნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილობრივი, ყველაზე მოსავლიანი გვალვამდეგი და ყინვამდეგი ჯიშების ბალახების გავრცელებას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დაევალათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით 1972-1974 წლებში ააშენონ 180 თესლსაწმენდ-საშრობი ნაკადური ხაზი და მრავალწლიანი ბალახების თესლის დამმუშავებელი ქარხანა და მათი ხაწყობები.

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

13 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი ესაუბრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგეს გადეშუ ვრიმბლიას. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ლოძის ხავიეოვოდს ხაოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ედი მუშინსკის. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილეს ედვარდ კარელიუსს. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა ხაკითხების რეფერენტურის გამგეს ალექსანდრე ნიჩიპორუკს და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის კრაკოვის ხაოლქო კომიტეტის ხაორგანიზაციო მდივანს კაზიმეშ ბარვაჩს, რომლებიც საბჭოთა კავშირში არიან დასასვენებლად.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა, მ. გოგიჩაიშვილმა ხტუმრების თხოვნით გააცნო მათ ხკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის შრომელთა წინაშე მდგომი ამოცანები.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ლ. გოგობიძა და ამ განყოფილების გამგის მოადგილე ჯ. მეგზვიშვილი. (საქდესი).

თბილგვირაბმშენს

ლენინის ორდენოსანმა თბილგვირაბმშენის კოლექტივმა ხუთწლედის განვლილ პერიოდში არაერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვა, რისთვისაც მრავალჯერ დაიმსახურა ჯაჭვაშორა და რესპუბლიკური გარდამავალი დროშები და პირველი ფულადი პრემიები.

მიმდინარე წელსაც, როცა რესპუბლიკა დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ემზადება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, თბილგვირაბმშენის სახელოვანმა კოლექტივმა ახალი შრომითი წარმატება მოიპოვა. მშენებლებმა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მეორე კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, გამარჯვება სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

გუშინ თბილისის მეტროპოლიტენის კლუბში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ამ საპატიო ჯილდოს გადაცემას.

კრების პრეზიდიუმში არიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. როდიონოვი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე ი. ქედიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ი. შევარდნაძე, პარტიის პირველი მაისის რაიონის პირველი მდივანი ბ. ბრიგალაშვილი, თბილგვირაბმშენისა და თბილისის მეტროპოლიტენის მუშაკები.

კრება გახსნა თბილგვირაბმშენის გაერთიანებული სამშენებლო კომბინატის კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვ. ბრანდტის პატივსაცემად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურთან ერთად სადილზე იყვნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. შეელი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

სადილის დროს ა. ნ. კოსიგინმა და ვ. ბრანდტმა სიტყვები წარმოთქვეს.

დღევანდელი დღე, თქვა ა. ნ. კოსიგინმა სამახსოვრო დღე იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობაში. წარსულში ბევრი არ ყოფილა

□

მოლაპარაკება კრემლში

13 აგვისტოს კრემლში გაგრძელდა მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს ვილი ბრანდტს შორის. მოლაპარაკებას დროს განიხილვდნენ ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. შეელი. (საქდესი).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის პატივსაცემად

სსრ კავშირის მთავრობამ 12 აგვისტოს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვ. ბრანდტის პატივსაცემად.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურთან ერთად სადილზე იყვნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. შეელი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ბ. ნ. პონომარიოვი და სხვები.

სადილის დროს ა. ნ. კოსიგინმა და ვ. ბრანდტმა სიტყვები წარმოთქვეს.

დღევანდელი დღე, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, სამახსოვრო დღე იქნება ორი ქვეყნის ურთიერთობაში. წარსულში ბევრი არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომლებსაც საფუძველი მოეცა ჩვენი ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობა მისაწყდომ, პრაქტიკულ მიზნად მიგვეჩნია, თუმცა, რა თქმა უნდა, ისტორიის გაკვეთილები და ორავე ქვეყნის ხალხების, ევროპის ხალხების საარსებო ინტერესები მოითხოვდნენ, რომ გადაგვეღახა დაბრკოლებანი ამ გზაზე. მრავალი წლის მანძილზე საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისას საბჭოთა კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხშირად მოწინააღმდეგე პოლუსებზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

ხელმოწერილი ხელშეკრულება ხანგრძლივი, ზოგჯერ ძალიან რთული მოლაპარაკების შედეგია. მაგრამ შეგვიძლია გამოვთქვათ კმაყოფილება იმის გამო, რომ ორივე მხარეს უკან არ დაუხევია ძირითადი წინაშე, რომლებიც შეთანხმების გზაზე გვეღობებოდა, რადგან მიზანი, რომლისთვისაც მხარეები იღვწოდნენ, ამ მეცადინეობის ღირსია.

ჩვენ, განაცხადა ა. ნ. კოსიგინმა, უნდა განვახორციელოთ შემობრუნება საბჭოთა კავშირსა და ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობაში. წარსულის გამოცდილებამ უნდა გვასწავლოს იმ სიცეთის დიდად დაფასება და სრულად გამოყენება, რომელიც მოაქვს თვითეულ მშვიდობიან დღეს და რომელსაც ამრავლებს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა. იმედი გვაქვს, რომ ხელშეკრულების დადებას მალე მოჰყვება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის განვითარების პრაქტიკული ღონისძიებანი სხვადასხვა დარგში. საბჭოთა კავშირი ამისთვის მზად არის და ხელმძღვანელობს იმით, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, ისევე, როგორც საერთოდ სხვადასხვა სახოგადოებრივი წყობილების ქვეყნებს შორის ურთიერთობის ერთადერთი გონივრული და პერსპექტიული საფუძველია.

ლაპარაკობდნენ ვ. შ. გ.).

ქართველ მაღარიელთა გამგზავრება

რესპუბლიკის მეშახტეები ჩაებნენ სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მნიშვნელოვან შრომითს წარმატებებს აღწევენ. მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მეორე კვარტალში მიღებული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისთვის სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით **საქნახშირის კომბინატის კოლექტივს ზედიზედ მეექვსედ მიენიჭა სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.** (საქდესი).



ს უ რ ა თ ი ა: თბილისის მეტროპოლიტენის ელექტრომექანიკოსი კომუნისტური შრომის დამკვრელები (მარცხნიდან) — ელექტრომონტიორები ვ. ილურიძე, ვ. სარუხანოვი და ცვლის ოსტატი ა. გოგოლაძე.

ფოტო ბ. ბრიგალაშვილისა.

საბჭოთა კავშირ-ერაყის თანამშრომლობის ინტერესებისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1970 წლის 4-დან 12 აგვისტომდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ერაყის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ცენტრალური მდივნის პარტიის ცენტრალური მდივნის მოადგილე სადამ ჰუსეინი.

საბჭოთა კავშირ-ერაყის ერთობლივ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ბაუბრებისა და მოლაპარაკების დროს, რომლებმაც გულახდილობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირსა და ერაყის რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ის ასპექტები, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს. ამ საკითხებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას ხელს შეუწყობს ორმხრივი ხელშეკრულების ხელმოწერა ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ხელს შეუწყობს ორმხრივი ვაჭრობის ზრდას, ორივე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაჩქარებას ერაყში, ორივე ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთშევსებას, ორივე ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციის ხელშეწყობას.

მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია

13 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე გ. შიურერი. დელეგაცია აწარმოებს მოლაპარაკებებს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის საკითხებზე. (საქდესი).

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის პატივსაცემად

(დასასრული)

ორივე მთავრობამ, ხაზგასმით აღნიშნა ა. ნ. კოსიგინმა და იცირა, სერიოზული ვალდებულებანი და დიდი პასუხისმგებლობა თავიანთი ხალხებისა და მთელი ევროპის წინაშე. ამ ხელშეკრულებისადმი ერთგულება, მისი თანმიმდევრული განხორციელება უეჭველად გახდება ევროპის კონტინენტზე სტაბილურობისა და სიმშვიდის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ელემენტი. ამ თვალსაზრისით სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ამორციელებენ ევროპაში ეროვნული მთავრობათა მიერ განხორციელებული აქტი განსაკუთრებით როდი დგას, იგი ერთ მწყობრში დგება სხვა ღონისძიებებთან, რომლებსაც ევროპის ხალხელმწიფოთა მთავრობები ამორციელებენ ევროპაში ვითარების გაჯანსაღებისა და უშიშროების საიმედო საფუძვლების შექმნისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს კარგად ესმით ევროპის და არა მარტო ევროპის პოლიტიკური და საზოგადოებრივ წრეებს, რომლებიც უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან ჩვენს მოლაპარაკებას. რა თქმა უნდა, ისმის არაკეთილმოსურნეთა ხმებიც. მაგრამ ეს იმათი ხმებია, ვისთვისაც უცხოა პოლიტიკური რეალიზმისა და ევროპის ხალხთა მშვიდობიანი მომავლისათვის ზრუნვის გრძნობა, ვისაც მართლაც სურს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობა, არ შეიძლება არ აღიაროს რომ ეს აქტი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა. არ გაგვიგია, რომ ვინმეს წამოეყენებინოს იმ საკითხთა სხვა, პრინციპულად ახალი, ევროპის უშიშროების ხაქმის ხელშემწყობი გადაწყვეტა, რომლებიც საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების ტექსტში არ შესულა.

დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა თქვა, დადებული ხელშეკრულება შეუძლებელი იქნებოდა, მომზადებული რომ არ ყოფილიყო ევროპის სინამდვილის მთელი განვითარებით, საერთაშორისო ურთიერთობის ბუნებრივი მიმდინარეობით. ხელშეკრულება თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი, იგი შეესაბამება მშვიდობის ხანგრძლივ ინტერესებს.

მოლაპარაკებამ, რომელიც ამ ბოლო თვეებში მიმდინარეობდა, თქვა საპასუხო სიტყვაში ვ. ბრანდტმა, მეტი შეიძლო მოგვცა, ვიდრე მხოლოდ ხელშეკრულების შემუშავებაა. მან შესაძლებლობა მისცა ჩვენს წარმომადგენლებს ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ აზრები, გაეგოთ ერთმანეთისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველი ცდიდანვე ვერ შეთანხმდებოდნენ.

ვ. ბრანდტმა აღნიშნა, რომ, როცა პირველად დადგა ფეხი საბჭოთა კავშირის მიწაზე, შეგნებული ჰქონდა, რამდენად მძიმეა ის მოგონებანი, რამდენად ღრმაა ეს ჭრილობები, რომლებიც დღემდე აქვთ ორივე ხახელმწიფოს და ხალხს, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ხალხს.

ვიცი, თქვა შემდეგ ვ. ბრანდტმა, რომ ეს ხელშეკრულება შეკამებაც არის და ახალი დასაწყისიც, რომელიც ჩვენს ორივე ხახელმწიფოს საშუალებას მისცემს თვალი მიაპყრონ მომავალს, უკეთეს მომავალს. ხელშეკრულება გვათავისუფლებს წარსულის ამრდილებისა და ტკივილებისაგან. იგი გვაძლევს ახალი დასაწყისის შანსს.

ხაქმე, რომელიც აქ დაიწყო, მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როცა წვლილს შეიტანთ ევროპის ცენტრში დაძაბულობის ნაღვლილი შენელების საქმეში. ხაქმე არასრული, დაუმთავრებელი იქნება, თუ არ ვიზრუნებთ იმისათვის, რომ არსად ევროპის ცენტრში აღარ წარმოიშვას დაძაბულობა, რომ უველგან მივაღწიოთ დამაკმაყოფილებელ მოწესრიგებას. მოდით ერთად დავამთავროთ ეს საქმე.

ჩვენს შორის არსებულ უთანხმოებათა მიუხედავად, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად ჩვენს ქვეყნებს შეუძლიათ გაბდნენ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს ამ რთულ მსოფლიოში მშვიდობიანი თანაარსებობა, რომელიც ვინმეს წინააღმდეგ კი არ იქნება მიმართული, არამედ ხახარგებლო იქნება ყველასათვის, ხახარგებლო იქნება ევროპის ყველა ხახელმწიფოსა და ხალხისათვის.

შემდეგ ვ. ბრანდტმა გამოთქვა იმედი, რომ განკერძოებულობა წარხულს ჩაბარდა და ხელშეკრულების მეოხებით შეიძლება შეიქმნას ახალი ურთიერთგაგება, დაძლეულ იქნას ცრურწმენანი.

ა. ნ. კოსიგინმა და ვ. ბრანდტმა სიტყვებს დამსწრენი ტაშით შეხვდნენ.

სადღეს მეგობრულ გითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული კომუნიკე

1970 წლის 11-13 აგვისტოს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ვილი ბრანდტი, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

ხელშეკრულებას 12 აგვისტოს მოაწერეს ხელი საბჭოთა კავშირის სახელით — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით — ფედერალურმა კანცლერმა ვ. ბრანდტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შელმა.

ვიზიტის დროს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურთან.

საუბარი და მოლაპარაკება, ნათქვამია ერთობლივ კომუნიკეში, მიმდინარეობდა საქმიან ვითარებაში და სასარგებლო იყო ორივე მხარისათვის.

მხარეთა წევრებთან, მათ შორ დაუბული ხელშეკრულება ხელსაყრელ პერსპექტივებს უსახავს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის ფარგლების გაფართოებას.

ორი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ვ. ბრანდტსა და მის თანმხლებ პირებს გასაცილებლად მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვები. (საკდესი).

პარტიული კომიტეტების პლენუმებზე

ავამაღლოთ მიწის ეფექტურობა

კარტიამ ხოფლის მეურნეობის მუშაკებს, მუშათა კლასს, მთელ ხახვოთა ხალხს ამოცანად დაუსახა გააუმჯობესონ მიწათმოქმედების კულტურა, ამამაღლონ მიწის ეფექტურობა, მიაღწიონ პროდუქტების ხიუხვეს.

მახარაძის რაიონის მშრომელებმა მოკმედების ხანძრთლო პროგრამად მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებას მიეძღვნა პარტიის რაიკომის პლენუმი. მოხხენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ხაქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" — გამოვიდა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ა. თოთიძე.

როგორც მომხხენებელმა, ისე კამათის მონაწილე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ ხუთწლედის განვლილ პერიოდში რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. გადამეტებით შეხრულდა ჩაის ფოთლის კრეფის ხუთწლიანი გეგმა, დამზადდა 220 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 194.600 ტონისა. ხაშუალო მოხავლიანობა ჰექტარზე 500 კილოგრამით გაიზარდა და ხარშან 5 ტონას მიაღწია.

პირველი გამოკვეთით ხრულდება აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები. ხუთწლიანი გეგმა 112,5 პროცენტით იქნა განაღდებული.

ამაღლდა ერთწლიანი კულტურების მოხავლიანობა, გადამეტებით შეხრულდა ხასოფლო-ხამეურნეო პროდუქტების ხახელმწიფოხათვის მიყიდვის დავალებანი.

რაიონის უველა ხაზოგადოებრივი მეურნეობა რენტაბელურია, გაიზარდა კოლმეურნეთა და მუშათა შრომის ანაზღაურება.

ყოველივე ამასთან ერთად პლენუმმა ხაზი გაუხვა ხოფლის მეურნეობის განვითარებაში არხებულ ნაკლოვანებებს. აღინიშნა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობასა და ხაბჭოთა მეურნეობაში დაბალია მიწათმოქმედების კულტურა, ხუსტია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია არხება. ზოგან ხათანადო ყურადღება არ ექცევა ჩაის ფოთლის მექანიზებულ კრეფას და მექანიზატორთა კადრებს მომზადებას.

უველაფერი რიგზე როდია ჩაის ფოთლის გადამუშავების ხაქმეში. მთელ რიგ კოლმეურნეობებს წლების მანძილზე არ შეუხრულებიათ ცოტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმები. არასაკმაო ყურადღება ექცევა მეხილეობის, მევენახეობისა და მებოხტნეობის განვითარებას.

ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ჩვენი ქვეყნის ხოფლის მეურნეობის განვითარების მთავარ პრობლემად დახახა მარცვლეულის წარმოების გადიდება. ეს კი მაღალი ხოცანგების წინაზე აყენებს წითელწყაროს რაიონის კომუნისტებს, თვითეულ მშრომელს, რადგან რაიონი მარცვლეულის უველაზე დიდი მწარმოებელთა რეპუბლიკაში.

წითელწყაროს რაიონში მარცვლეულის ხაშუალო წლიური წარმოება მომავალ ხუთწლედში აუვანილ უნდა იქნას 65.000 ტონამდე. ამ დონის მისაღწევად ხარჯოა ხუთი წლის მანძილზე მარცვლეული კულტურების მოხავლიანობა თვითეულ ჰექტარზე გადიდებულ 25 ცენტნერამდე. ბევრი რამ არის დამოკიდებული მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნიადაგის ძირითადი დამუშავების — ხვნის ხარისხის გაუმჯობესებას. ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა ცალკეული კოლმეურნეობები დაბალ მოხავლს იღებენ, თუმცა მათ ხაკმარისი რაოდენობით აქვთ მანქანები და ხახუქები. ზოგან ხუსტად ამხრვთ ჯარისმიერი და ჯუნყისმიერი ეროზიის წინააღმდეგ.

მიუხედავად არაბელხაურელი ამინდებისა, წელს რაიონის ხოფლის მეურნეობის მშრომელებმა გვკუნის პირობებში თვითეულ ჰექტარზე მაინც მიიღეს 14.7 ცენტნერი ხაშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოხავლი და მთლიანად 35.000 ტონა მარცვლეული აწარმოეს.

მეცხოველეობის ხაკვები ბაზის განმტკიცებაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქერ-ხორბლის ხილოსის, როგორც ხაფურაუე კულტურების, წარმოების ზრდას. რაიონის მეურნეობებს ხაშუალება აქვთ მომავალ ხუთწლედში ქერის მოხავლიანობა ჰექტარზე 25 ცენტნერამდე გაზარდონ და უველწლიურად ხაშუალოდ 15 ათასი ტონა ქერი აწარმოონ.

ყოველივე ამის შესახებ გულადხდილად ითქვა პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. მოხხენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები და ჩვენი ამოცანები" — გამოვიდა პარტიული ორგანიზაციების მინისტრთა საბჭომ დაავალა ზემოთ ჩამოთვლილ ხამინისტროებს, უწყებებსა და ხაწარმოებს გამოასწორონ შეჭმული მდგომარეობა, განახორციელონ ხაჭირო ზომები, რათა უთუოდ შეხრულონ 1970 წელს ამ მიმართულებით წინათ დახახული უველა ღონისძიება.

წყლის რესურხების გამოყენებისა და დაცვის ხახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა 1970 წლის 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, ხამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან, რესპუბლიკურ ხანკიდადურთან და ხაქართველოს შავი ზღვისა და აუზების თევზის მარაგის დაცვის სამმართველოსთან ერთად მოაწყოს გაჭუქყიანებისაგან წყალსატევების დაცვის ორთვიური. ხაქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დააკალა ხაქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ხახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური, ხაქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებს ფართოდ გააშუქონ ორთვიურის მიმდინარეობა.

(საკდესი).



ამხრეთ ოსეთის მინდვრებზე კვლავ გუგუნებენ კომბაინები, ხახელმწიფო ბელებში უველდღიურად იგზავნება ათობით ტონა ხორბალი. განსაკუთრებით უხვი მოსავალია წელს ცხინვალის რაიონის ერედვის ხაბჭოთა მეურნეობაში. ერედველებმა უკვე დიდი გადაგრებით შეახრულეს ხახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა.

მოსავლის აღებაში ერედველებს დაეხმარნენ გორელი მექანიზატორები, რომელთა შორის დაწინაურდნენ ძმები ლაშა და მურთაზ ჩეგელიძეები და ბარნელ ხოდელი. ამ სურათზე აღბეჭდილია მოსავლის აღება ერედვის ხაბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ლ. გუსოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

რესპუბლიკის მდინარეებისა და წყალსატევების სიწმინდისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის მდინარეებისა და წყალსატევებს გაჭუქყიანების თავიდან აცილების შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ წყალსატევების გაჭუქყიანების თავიდან აცილებისათვის, ჩამდინარე წყლების მოცულობის შემცირებისათვის, ახალი გამწმენდი ნაგებობების მშენებლობისა და არსებული გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის. გაჭუქყიანებისაგან წყალსატევების დაცვის ორთვიურმა საშუალება მოგვცა გავგუეჩქარებინა გამწმენდ ნაგებობათა მდგომარეობა და დაგვეჩქარებინა ახალ გამაუვნებელ მოწყობილობათა მშენებლობის ტემპი.

მაგრამ მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს და არ ახორციელებენ ღონისძიებებს გაჭუქყიანებისაგან მდინარეებისა და წყალსატევების დაცვისათვის. ჭიანურდება ჩამდინარი წყლების ზოგიერთი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. მთელიანად რესპუბლიკაში სამეურნეო-საყოფაცხოვრებო კანალიზაციის კაპიტალური მშენებლობისა და გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმები შაშან არ შესრულებულა. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ ჯეროვან კონტროლს არ უწევენ მშენებლობის მიმდინარეობას შემკვეთი საწარმოებისა და უწყებების ხელმძღვანელები და დამაკმაყოფილებელი არ არის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაცია.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში შემდეგ აღნიშნულია, რომ მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მშენებლობის სამინისტროები, რუსთავის ქიმიური კომბინატი, ჭიათურის მარგანეცისა და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტები, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი, მთელი რიგი სხვა უწყებანი და ორგანიზაციები დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებას რესპუბლიკის მდინარეებისა და წყალსატევების სისუფთავის უზრუნველყოფის შესახებ, ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებენ ამ საქმეში წესრიგის დამყარებისათვის და კონტროლს არ უწევენ გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობას. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაავალა ზემოთ ჩამოთვლილ სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს გამოასწორონ შეჭმილი მდგომარეობა, განახორციელონ საჭირო ზომები, რათა უთუოდ შეახრულონ 1970 წელს ამ მიმართულებით წინათ დახახული უველა ღონისძიება.

